



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

21 თებერვალი 2011 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 22

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საჯარო აუქციონის ორგანიზების მიზნით სააუქციონო კომისიის შექმნის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 1 დეკემბრის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების საჯარო აუქციონის ფორმით განკარგვის და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შეიქმნას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემი სააუქციონო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) კომისიის თავმჯდომარე – მიხეილ გოგოტიშვილი – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;

ბ) აუქციონატორი – ბახვა ჩხარტიშვილი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი;

გ) მდივანი – ნანა ხომერიკი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტი სასამართლოსთან ურთიერთობის საკითხებში;

დ) რეგისტრატორი – პელაგია კალანდაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ე) კომისიის წევრები:

ე.ა) თინათინ ლომჯარია - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი;

ე.ბ) კოტე სარიშვილი – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის უფროსი;

ე.გ) თემური გიორგაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის ეკონომიკისა და საინვესტიციო განყოფილების უფროსი;

ე.დ) თამაზი ცერცვაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ქონების მართვის საკითხებში;

ე.ე) შალვა გაბრიჩიძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი;

2. კომისიის საქმიანობაზე კონტროლი დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, ინფრასტრუქტურისა და ურბანიზაციის კომისიას. (თ. სალუქვაძეს)

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი